შრომის ბაზრის სეგმენტაცია და არაფორმალური შრომა კრიზისის დრო



EMC

შრომის ბაზრის სეგმენტაცია და არაფორმალური შრომა კრიზისის დროს

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC

თბილისი, 2020

Norwegian Ministry
of Foreign Affairs

UNDP

დოკუმენტი მომზადებულია ნორვეგიის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ნორვეგიის მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

დოკუმენტის ავტორი: თამუნა ქებურია
დოკუმენტის ხელმძღვანელი: კოტე ერისთავი
რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი
გარეკანი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 032 2 23 37 06

www.emc.org.ge
info@emc.org.ge
https://www.facebook.com/EMCRIGHTS/

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center

შესავალი

COVID 19-ის პანდემიამ მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ჯანდაცვასთან ერთად, კრიზისულ ვითარებაში აღმოჩნდა ეკონომიკური და სოციალური დაცვის გლობალური სტრუქტურები. საკარანტინე ზომებმა ყველაზე მეტად მრეწველობის, ტრანსპორტის, მომსახურებისა და ტურიზმის სფეროებზე იმოქმედა, რამაც უსამსახუროდ დატოვა მილიონობით ადამიანი. პანდემიის საწყის ეტაპზე ხშირად კეთდებოდა აქცენტი იმაზე, რომ კრიზისი თანაბრად ემუქრებოდა როგორც განვითარებად, ისე მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, როგორც ღარიბებს, ისე მდიდრებს. თუმცა დღეს ცხადია, რომ პანდემიამ და მისით გამოწვეულმა კრიზისებმა კიდევ უფრო გააღრმავა უთანასწორობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას შორის, გაამწვავა სოციალური ფონი ქვეყნების შიდა დონეზე და გაზარდა სიღარიბე-უმუშევრობა ადამიანთა დაბალ ფენებში. ამ ფონზე, კრიზისის რადიკალური და გრძელვადიანი შედეგების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია დაიწყოს მსჯელობა საქართველოს მსგავსი ქვეყნის შრომის ბაზრის სტრუქტურასა და სოციალური დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით. არსებული კონტექსტის და ახალი რეალობის გათვალისწინებით, მოცემული ანალიტიკური ნაშრომი, რომელიც სწორედ შრომის ბაზრის სფეროს, მისი სეგმენტაციის მახასიათებლებს და კრიზისის შესაძლო შედეგებს აანალიზებს, დღეს განსაკუთრებით აქტუალური შეიძლება იყოს.

განვითარებადი ქვეყნების შრომის ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მახასიათებელია შრომის ბაზრის მკვეთრად გამოხატული სეგმენტაცია, სადაც, ერთი მხრივ, წარმოდგენილია შედარებით ორგანიზებული დასაქმების ფორმალური სექტორი, ხოლო, მეორე მხრივ, ფორმალური ინსტიტუციების მიღმა მოქმედი შრომის არაფორმალური სექტორი.[1] ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებში, შრომის პირობები, იქნება ეს ანაზღაურება, სოციალური დაცვა თუ შრომითი გარემო, როგორც წესი, მნიშნველოვნად განსხვავებულია. საქართველოს შრომის ბაზრის სეგმენტაციის სპეციფიკაზე საუბარს ართულებს იმგვარი ლიტერატურის სიმწირე, რომელიც სიღრმისეულად და მეცნიერულად გააანალიზებდა, თუ რა სახის სეგმენტაციასთან გვაქვს საქმე ქართულ რეალობაში, ან რა ინსენტივებით მოქმედებენ ფორმალურ თუ არაფორმალურ სექტორებში დასაქმებული მშრომელები დღევანდელ პირობებში. ამის მიუხედავად, მეორადი მონაცემები, ეკონომიკური ანგარიშები და არსებული წყაროები ლეგიტიმურს ხდის მსჯელობას, რომ ისევე როგორც სხვა ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, შრომითი ბაზარი საქართველოშიც მკვეთრად სეგმენტირებულია და მას ისტორიული საფუძველი გააჩნია. უფრო მეტიც, გარდა ეკონომიკური მდგენელისა, შრომის ბაზრის სეგმენტაცია სოციალური მოცემულობითაც იყო განპირობებული. კერძოდ, როგორც

[1] Isabel Günther and Andrey Launov, Competitive and Segmented Informal Labor Markets (Bonn: The Institute for the Study of Labor (IZA), 2006).

საქართველოს გამოცდილება აჩვენებს,[2] არაფორმალური შრომა მძიმე სოციალური მოცემულობისა და ეკონომიკური კრიზისების პირობებში, ერთგვარ სოციალური დაცვის ფუნქციას ითვისებს მაშინ, როდესაც ადამიანთა ფართო მასები გამოიდევნება ფორმალური დასაქმების სივრცეებიდან, ან როდესაც სოციალური დაცვის სისტემები ირღვევა და ვერ პასუხობს არსებულ საჭიროებებს.

მოცემული ანალიტიკური დოკუმენტის მიზანია, საქართველოში წარმოდგენილი ფორმალური და არაფორმალური დასაქმების სპეციფიკა შეისწავლოს შრომის ბაზრის სეგმენტაციის ანალიტიკური ჩარჩოს პერსპექტივიდან. ანალიტიკური ნაშრომი ეყრდნობა დაშვებას, რომ საქართველოში შრომის ბაზარი ისტორიულად სეგმენტირებულია (იგულისხმება დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდი), სადაც არაფორმალური შრომა დღემდე რჩება ერთგვარ თავშესაფრად ფორმალური სექტორიდან გამოდევნილთათვის, რომელთათვისაც უმუშევრობა ალტერნატივა არ არის. დოკუმენტი აანალიზებს, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური კრიზისების არაფორმალური დასაქმების სექტორზე და როგორ რეაგირებენ ეგზოგენური კრიზისის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანები ფორმალურ სექტორში დასაქმების შესაძლებლობის შეკვეცაზე.

ამ მიზნის მისაღწევად, მიმდინარე ანალიტიკური ნაშრომი შეისწავლის როგორც მეორად წყაროებს - როგორიცაა სტატისტიკური მონაცემები, კვლევითი ორგანიზაციების ანგარიშები, საერთაშორისო დასკვნები თუ ლიტერატურული წყაროები, იგი ასევე დაეყრდნობა პირველად მონაცემებს, რაც გულისხმობს არაფორმალურ დასაქმებაში მყოფ მუშახელთან ჩატარებულ 15-მდე პირისპირ ინტერვიუს შედეგებს, რომელიც 2020 წლის ივნისი-ივლისის პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა. ინტერვიუები ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით, რომლის უმთავრესი საკითხიც იყო პანდემიური კრიზისის გავლენის შესწავლა მშრომელთა სამუშაო პირობებზე და მათ მოლოდინებზე.

აქვე უნდა განიმარტოს ის მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი შეზღუდვები, რომლებიც წარმოდგენილ ანგარიშში ღიად ტოვებს გარკვეულ საკითხებს. კერძოდ, მეთოდოლოგიური შეზღუდვაა როგორც სტატისტიკური მონაცემების არასისტემური ხასიათი, ისე თვისებრივ კვლევასთან დაკავშირებული ის შეზღუდვები, რომლებიც სადავოს ხდის მიღებული შედეგების გენერალიზების შესაძლებლობას. ამის მიუხედავად, ანალიტიკურ ნაშრომში გამოყენებული მონაცემების ერთობლიობა, ზოგად სურათსა და არსებულ დინამიკას იმგვარად დაგვანახვებს, რომ შესაძლებელი იყოს ანალიტიკური მსჯელობის განვითარება და ლოგიკური დაშვებების გაკეთება. რაც შეეხება შინაარსობრივ შეზღუდვებს, ამ მიმართულებით, გამოწვევად გვესახება ის, რომ ნაშრომი არ უღრმავდება არაფორმალურ და ფორმალურ დასაქმებას შორის არსებულ თვისებრივ განსხვავებებს, ისევე როგორც არ აანალიზებს

[2] Sabine Bernabè and Marco Stampini, Labour Mobility during Transition Evidence from Georgia1, *Economics of Transition and Institutional Change* 17, no. 2 (2009): 377–409.

სამართლებრივ და პოლიტიკურ ფაქტორებს. ნაშრომი არ ცდილობს გამოააშკარაოს შრომის ბაზრის სეგმენტაციის წარმოშობის თუ განვითარების სტრუქტურული მიზეზები, არამედ უკვე არსებული სეგმენტაციის პირობებში არსებული დინამიკის და მშრომელთა მოლოდინების თუ ინსენტივების ანალიზს მიუყვება. აქედან გამომდინარე, იგი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც მრავალმხრივი და ყოველისმომცველი კვლევა, არამედ მცირე ნაწილი იმ ფართო საკვლევი საკითხისა, რასაც არაფორმალური შრომის, არაფორმალური შრომის ბაზრისა და ფორმალობა-არაფორმალობას შორის არსებული სპეციფიკების სიღრმისეული შესწავლა გულისხმობს.

ზემოხსენებული დათქმებიდან გამომდინარე, ანალიტიკური ნაშრომის პირველ ნაწილში მიმოხილულია შრომის ბაზრის სეგმენტაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა კვლევითი, აკადემიური თუ ანალიტიკური წყაროები, სადაც ყურადღება ასევე მახვილდება საქართველოს შემთხვევაზე და აქ არსებული შრომის ბაზრის სეგმენტაციის ისტორიულ დინამიკაზე. ნაშრომის მეორე ნაწილში გაანალიზებულია საქართველოს შრომის ბაზრის სტრუქტურა და სპეციფიკა, და მითითებულია სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მეთოდოლოგიური ხარვეზები და რეალური სურათის დანახვის ხელშემშლელი სტრუქტურული ფაქტორები. ნაშრომის ბოლოს კი ვაანალიზებთ ორ შემთხვევას, რომელიც საქართველოს კონტექსტში არსებულ ეკონომიკური კრიზისების გამოცდილებას და ამ კრიზისების შედეგად გამოწვეულ შრომის ბაზრის სეგემენტაციას, თუ არაფორმალური შრომის ბაზარზე მიმდინარე დინამიკას ეხება.

შრომის ბაზრის სეგმენტაცია: ისტორიული და სოციალური ფაქტორების მიმოხილვა საქართველოს კონტექსტში

ლიტერატურა, რომელიც შრომის ბაზრის სეგმენტაციას და არაფორმალური შრომის ბაზრის არსებობის მიზეზებსა თუ წარმოშობის წინაპირობებს შეისწავლის, უმეტესად, ორ ძირითად თეორიულ მსჯელობას ავითარებს.[3] ერთი მიდგომის თანახმად, განვითარებად ქვეყნებში არაფორმალური შრომის ბაზრის წარმოქმნას სუსტი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა განაპირობებს, რომელიც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისთვის სათანადო დასაქმების ადგილებს ვერ აწარმოებს. კერძოდ, თუკი განვითარებულ ქვეყნებში, ეკონომიკური ჩავარდნები და კრიზისები უმუშევართა რიგებს გაზრდიდა, განვითარებად ქვეყნებში, უმუშევრობის ზრდის ნაცვლად, არაფორმალური დასაქმება იზრდება. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ეკონომიკურად ღარიბი ქვეყნის მოსახლეობისთვის არ არსებობს სოციალური დაცვის ისეთი მექანიზმები, რასაც განვითარებულ ქვეყნებში ვხვდებით უმუშევრობის დაზღვევის, უმუშევრობის შემწეობის თუ სოციალური დახმარების სახით. შესაბამისად, განვითარებადი

[3] Marianthi Rannia Leontaridi, Segmented Labour Markets: Theory and Evidence, *Journal of Economic Surveys* 12, no. 1 (1998): 63–101.

ქვეყნის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას არ გააჩნია უმუშევრად ყოფნის „ფუფუნება“ და არაფორმალური შრომა მისთვის უმუშევრობიდან თავის დაღწევის ერთადერთი ალტერნატივაა. ამის საპირისპიროდ, მეორე მიდგომა შედარებითი უპირატესობის პარადიგმიდან ამოდის, სადაც განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში არაფორმალურ შრომაში მონაწილეობა გადასახადებიდან თავის არიდების, შემოსავლების მაქსიმიზაციის და მაღალი კონკურენტული გარემოს პირობებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის პირად არჩევნად მოინიშნება.

ამ ორი მიდგომის გარდა, ე.წ. პოსტტრანზიციულ და პოსტსაბჭოთა ქვეყნების შემთხვევაში, ასევე დომინირებს შრომის ბაზრის სეგმენტაციის ამხსნელი კიდევ ერთი პარადიგმა, სადაც ფორმალური და არაფორმალური დასაქმება არათუ განცალკევებულ და ერთგვარად დაპირისპირებულ სფეროებად მოინიშნებიან, რომლის პირობებშიც ფორმალურობა ცალსახად უპირატესია არაფორმალურობაზე, ანდაც არაფორმალურობა ერთგვარი საშუალებაა ფორმალურ სექტორში მოქმედი რეგულაციების თუ საგადასახადო ტვირთების ასარიდებლად, არამედ, ეს ორი პოლუსი მშრომელთა უმუშევრობისგან დაცვის, კრიზისების დროს დამცავი საბუფერო ზონის და შრომითი მობილობის ერთგვარ განგრძობითობას ქმნის. შრომითი ბაზრის სეგმენტაციის შესახებ არსებული ეს მიდგომა, რომელიც ძირითადად პოსტტრანზიციული ბუნების ქვეყნების კონტექსტში განიხილება[4], ყველაზე მეტად ესადაგება ქართულ კონტექსტს, სადაც არაფორმალური დასაქმება „დროებითი“ ხასიათის აქტივობად არის მონიშნული, ხოლო თავად არაფორმალური შრომითი სექტორი „მოლოდინის“ ზონად აღიქმება, რომელსაც მშრომელები ადრე თუ გვიან აუცილებლად დატოვებენ და ფორმალურ სექტორში გადაინაცვლებენ.

საქართველოში არაფორმალური ეკონომიკის (იმავე ჩრდილოვანი ეკონომიკის) წილი, მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით, გამორჩეულად მაღალია. 2015 წლის მონაცემებით, არაფორმალური ეკონომიკის წილი მშპ-ს 53.07%-ს შეადგენს.[5] არაფორმალურობის ზრდა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის პარალელურად დაიწყო, სადაც ყველაზე დიდი წილი სწორედ არაფორმალურ დასაქმებაზე მოდიოდა.[6] დამოუკიდებლობის პირველ წლებში მასობრივი პრივატიზაციისა და ინსტიტუტების რღვევის შედეგად გაჩენილმა ფისკალურმა კრიზისმა მოარღვია სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმები და სოციალური სერვისები, ხოლო ეკონომიკურმა ტრანზიციამ ფორმალურ სექტორში დასაქმების და ადეკვატური შემოსავლების ქონის შესაძლებლობები შეკვეცა. შესაბამისად, შემოსავლისა და

[4] Hartmut Lehmann and Norberto Pignatti, Informal Employment Relationships and the Labor Market: Is There Segmentation in Ukraine?, SSRN Scholarly Paper (Rochester, NY: Social Science Research Network, 16 January 2018).
[5] Leandro Medina, Shadow Economies Around the World: What Did We Learn Over the Last 20 Years?, Working Paper No. 18/17 (IMF, 2018).
[6] Sabine Bernabè, A Profile of Informal Employment: The Case of Georgia (Geneva: International Labour Office (ILO), 2002).

სოციალური დაცვის გარეშე დარჩენილმა მოსახლეობამ, თვითგადარჩენისთვის და ოჯახების გასატანად, მასობრივად მიმართა არაფორმალურ, დაბალკვალიფიციურ და პრეკარიალურ აქტივობებს.

2002 წელს ILO-ს ფარგლებში შექმნილ ანგარიშში, რომელიც საქართველოში წარმოდგენილი არაფორმალურობის მახასიათებლებს იკვლევდა, საუბარია იმაზე, თუ როგორ იქცა არაფორმალურ სექტორში შრომა მძიმე რეალობასთან გამკლავების რაციონალურ საშუალებად, ფორმალურ სექტორში დასაქმების ადგილების შეკვეცისა და სახელმწიფო დონეზე სოციალური დაცვის მექანიზმების რღვევის პირობებში.[7] ანგარიშში საუბარია, რომ ამ პერიოდისთვის კერძო სექტორში თითქმის არ არსებობდა ფორმალური დასაქმების სივრცეები, და რომ კერძო სექტორის 70%-ზე მეტი არაფორმალურ შრომაზე იდგა. რაც შეეხება 2009 წელს ჟურნალ „Economics of Transition"-ში გამოქვეყნებულ სტატიას, „შრომითი მობილობა ტრანზიციის დროს"[8], ის ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევაა, რომელიც საქართველოს მაგალითის შესწავლით აანალიზებს, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობდა შრომის ბაზრის სეგმენტაციას და შრომით მობილობას შორის საქართველოში. სტატიის ავტორი, პირველ ყოვლისა, მიზნად ისახავდა დაესაბუთებინა შრომითი სეგმენტაციის არსებობა საქართველოს კონტექსტში, რათა ამის შემდეგ გაეანალიზებინა ამ სეგმენტირებულ ბაზარზე მშრომელთა მობილობის მახასიათებლები. 1998-1999 წლების ეკონომიკურ კრიზისზე დაკვირვებით, ავტორი მიდის რამდენიმე მნიშვნელოვან დასკვნამდე. კერძოდ, ის საუბრობს სხვადასხვა სტატუსის მქონე მშრომელთა შორის სხვადასხვა ხარისხის შრომით მობილობაზე - მაშინ, როდესაც სამსახურის და დასაქმების სტატუსის ცვლილების სიხშირე დაბალია ფორმალურ სექტორში დასაქმებულ მშრომელებს შორის, განსხვავებული სიტუაციაა არაფორმალურად დასაქმებულებისა და თვითდასაქმებული სტატუსის მქონე მშრომელთა შორის. აქ ხშირია როგორც დასაქმების სფეროს, ისე სტატუსის ცვლილებაც. ამის მიზეზი, ავტორის დაკვირვებით, არის არაფორმალურ სექტორში შრომით აქტივობასთან დაკავშირებული მაღალი რისკი ან მისი დროებით დასაქმებად მონიშვნა, რომელიც თვითგადარჩენის აუცილებლობით არის ნაკარნახევი და არ მოიაზრებს მდგრადობის ან გრძელვადიანობის შესაძლებლობას. მაგალითისთვის, სტატიის ავტორს მოჰყავს მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში 1999 წელს ჩატარებული კვლევა, რომელიც საქართველოს ცხრა რეგიონის 600-მდე შინამეურნეობას შეისწავლის. კვლევამ აჩვენა, თუ რა როლი ითამაშა 90-იან და ადრეულ 2000-იან წლებში ე.წ. ჩელნოკების ვაჭრობამ, როდესაც საქართველოდან ქალები პატარა ჯგუფებად მიემგზავრებოდნენ მეზობელ ქვეყნებში (რუსეთი, თურქეთი, უნგრეთი, პოლონეთი თუ სხვა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა) ავტობუსით თუ მატარებლით, სულ ცოტა თვეში ერთხელ მაინც, რათა ამ ქვეყნებიდან სხვადასხვა სახის სამომხმარებლო პროდუქცია ჩამოეტანათ და ღია ბაზრებში ან მაღაზიებში გაეყიდათ. საზღვრის

[7] Bernabè, 33

[8] Sabine Bernabè and Marco Stampini, Labour Mobility during: Transition Evidence from Georgia, *Economics of Transition and Institutional Change* 17, no. 2 (2009): 377–409.

გადაკვეთა, უცხო ქვეყანაში სავაჭროდ გადასვლა და შემდეგ შესყიდული პროდუქციის ქართულ ბაზარზე რეალიზება მაღალი რისკის მატარებელი აქტივობა იყო, განსაკუთრებით, კრიმინალის მაღალი დონის და კორუფციის პირობებში, თუმცა გამოკითხული ოჯახების უმეტესობისთვის ეს აქტივობა ზოგჯერ გადარჩენის ერთადერთ და უალტერნატივო შესაძლებლობას წარმოადგენდა.[9]

სწორედ რომ ფორმალურ სექტორში სამუშაოს ცვლილების დაბალი სიხშირე და არაფორმალურიდან ფორმალურში გადაადგილების გაცხადებული ინტერესი აძლევს სტატიის ავტორს საშუალებას, დაასკვნას, რომ საქართველოში სახეზეა სეგმენტირებული შრომითი ბაზარი, სადაც გარკვეულ შემთხვევებში ფორმალური დასაქმება არაფორმალურზე უპირატესია, ხოლო არაფორმალური შრომა განიხილება არა როგორც არჩევანი, არამედ როგორც აუცილებლობა.[10] უფრო მეტიც, ავტორი ასევე აანალიზებს სასოფლო-სამეურნეო სექტორში მშრომელთა მობილობის ტენდენციებს რეგიონულ ჭრილში და ასკვნის, რომ კრიზისის პირობებში მეტია ალბათობა, რომ თვითდასაქმებულები სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულები უფრო გახდებიან, ვიდრე უმუშევრები. ამის მიზეზი კი ის არის, რომ „სოფლის მეურნეობა მძიმე სოციალურ დროებაში, როგორც დამცავი ზონა, ისე მუშაობს, ხოლო ურბანულ სივრცეებში ბუფერის ფუნქციას არაფორმალური დასაქმება ასრულებს“.[11]

ზემოხსენებული საკითხების გათვალისწინებით, სტატიის მომდევნო თავში გაანალიზებულია საქართველოში არსებული შრომის ბაზრის სტრუქტურა, სადაც ფოკუსირება ხდება ეროვნულ დონეზე არსებულ იმ ხარვეზებზე, რომლებიც დღემდე ბუნდოვანს ტოვებს შრომის ბაზრის სტრუქტურის რეალურ სახეს და იმას, თუ როგორ მიემართება ერთმანეთს საქართველოში ფორმალური და არაფორმალური დასაქმება, რეალურად როგორია როგორც უმუშევრობის, ატიპიური, არასტანდარტული თუ პრეკარიალური შრომის, ასევე, არაფორმალური დასაქმების მასშტაბები.

საქართველოში არსებული შრომის ბაზრის კვლევა და მასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური ხარვეზები[12]

საქართველოში ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, იმავე სამუშაო ძალას, წარმოადგენს 15 წლის და უფროსი ასაკის პირები, რომლებიც მუშაობენ ან მზად არიან იმუშაონ სხვადასხვა სახის საქონლის და მომსახურების საწარმოებლად. ხოლო ისინი, ვინც სამუშაო ძალის მიღმაა, არიან პირები, რომლებსაც არ უმუშავიათ გამოკითხვის მომენტიდან ბოლო 7 დღის განმავლობაში და

[9] Nora Dudwick, Georgia: A Qualitative Study of Impoverishment and Coping Strategies, in *Georgia Poverty and Income Distribution*, vol. 2, 19348-GE (Washington,: World Bank, 1999).

[10] Bernabè and Stampini, Labour Mobility during Transition: Evidence from Georgia.

[11] Bernabè and Stampini., 98.

[12] ავტ. შენიშვნა: ამ სექციაში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების უმეტესობა 2019 წლის წყაროს ეყრდნობა.

არც უძებნიათ სამუშაო გამოკითხვის მომენტიდან ბოლო ერთი თვის განმავლობაში.[13] *ინფოგრაფიკა 1*-ზე ჩანს, რომ წლებთან ერთად, ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის რიცხვი იზრდება, ხოლო სქესის განაწილებით, 15 წლის ან უფროსი მოსახლეობაში ქალების 44%-ზე მეტი და კაცების 26%-ზე მეტია ეკონომიკურად არააქტიური. ამის მიზეზი ის არის, რომ ქალებს უფრო მეტად უდგათ საშინაო შრომის და ოჯახის წევრებზე ზრუნვის აუცილებლობა, ვიდრე მამაკაცებს. 2019 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემების თანახმად, გამოკითხული რესპონდენტებიდან 38,2% ქალი ასახელებს მუშაობის არდაწყების მიზეზად მცირეწლოვანი ბავშვის მოვლას (კაცი - 0,4%), ისევე როგორც ავადმყოფი ოჯახის წევრის

ინფოგრაფიკა 1
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)



მშრომელთა განაწილება	ქალი	კაცი
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	886,08 ათასი	1025,11 ათასი
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	739,03 ათასი	386,88 ათასი

[13] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა.

მოვლას (5,6% ქალი და 1,5%კაცი). რაც შეეხება სამუშაოს პოვნის იმედის დაკარგვის მთავარ მიზეზებს, რაც ასევე მიგვაჩნია ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის მზარდი რაოდენობის წინაპირობად, აქ ყველაზე ხშირად სამუშაო ადგილების არარსებობა სახელდება როგორც ქალი, ისე მამაკაცი რესპონდენტების მხრიდან.

უმუშევ რობის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ პირი უმუშევრად მიიჩნევა, თუ მას ერთი საათითაც კი არ უმუშავია გამოკითხვის მომენტიდან წინა ერთი კვირის განმავლობაში, თუმცა ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და მზად იყო ემუშავა სულ ცოტა მომავალი 2 კვირა მაინც.[14] ასეთი ადამიანების რაოდენობა საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 11,6%-ს შეადგენს, რაც შედარებით დაბალი მაჩვენებელია. თუმცა, 2019 წლის შრომის ძალის გამოკვლევის მონაცემების თანახმად, თუ შრომისუნარიანი გამოკითხული რესპონდენტებიდან მხოლოდ 6-იდან 8%-მდე სახელდებოდა უმუშევრად, ILO-ს მკაცრი და შერბილებული კრიტერიუმებით, ამის საპირისპიროდ, გამოკითხული პირების 18%-ზე მეტი მაინც მიიჩნევდა თავს უმუშევრად, და მხოლოდ 40%-მდე გამოკითხული - ანაზღაურებადი სამსახურის მქონედ[15]. შესაბამისად, უმუშევრობის დონის განსაზღვრის კრიტერიუმების მოსახლეობის თვითშეფასებასთან მსგავსი აცდენა უმუშევრობის დაანგარიშების მაღალ ცდომილებაზე და მეთოდოლოგიის გადახედვის აუცილებლობაზე მიუთითებს. შრომის ძალის გამოკვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ საჭიროა უფრო მგრძნობიარე და მოქნილი მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც უმუშევრობის არა ნომინალურ, არამედ რეალურ დონეს დაგვანახვებდა.

სამუშაო ძალის მიღმა მყოფი და უმუშევრად მიჩნეული პირების გამოკლებით, მოსახლეობის შედარებით დიდი მოცულობაა დასაქმებული, რაც საქართველოს მსგავსი დაბალი შრომითი ინტენსივობის ეკონომიკაში კითხვებს და შეუსაბამობებს აჩენს. მაგალითად, მაშინ, როდესაც 2019 წლის მონაცემებით, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილების მონაცემები ეკონომიკური აქტივობის მიხედვით *დაქირავებულ* პირებად **849,3 ათას ადამიანს ანგარიშობს**, ბიზნეს სექტორის საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევით, სახელმწიფო და კერძო სექტორში *დაქირავებულთა* ჯამური რაოდენობა **673,8 ათას პირს ითვლის**. საქსტატი ამ შეუსაბამობას დაკვირვების პერიოდით და მეთოდოლოგიური განსხვავებით ხსნის.[16] კერძოდ, ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, მოსახლეობის განაწილების მონაცემი, რომელიც, თავის მხრივ, სამუშაო ძალის გამოკვლევას ეყრდნობა, დაქირავებულ პირთა რაოდენობას მოცემული გამოკითხვიდან **ერთი კვირის ინტერვალში** ანგარიშობს, მაშინ როცა საწარმოთა და ორგანიზაციების კვლევით წყაროში დაკვირვების პერიოდი **ერთი კვარტალი ან ერთი წელია**. გარდა ამისა, განსხვავების მიზეზად დასახელებულია კვლევის

[14] იქვე, 2.
[15] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), სამუშაო ძალის გამოკვლევა
[16] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა, 7

ჩატარების მეთოდოლოგიური ასპექტიც. კერძოდ, თუ საწარმოებისა და ორგანიზაციების შემთხვევაში მეთოდოლოგიურ მიდგომად გამოყენებულია მონაცემების თითოეული დაკვირვების ერთეულიდან შეგროვება (საწარმოებსა და ორგანიზაციებში თითოეული დასაქმებულის მონაცემის შეგროვება), რაც შედეგად იძლევა **სამუშაო ადგილების რაოდენობის აღირიცხვას,** სამუშაო ძალის გამოკვლევის შემთხვევაში განსხვავებული მეთოდოლოგია გამოიყენება. კერძოდ, გამოიკვლევენ ცალკეულ ინდივიდს (კვლევაში ჩართული შინამეურნეობებში მცხოვრები პირების ინდივიდუალური გამოკითხვა), რაც შედეგად იძლევა **დასაქმებულთა რაოდენობის აღრიცხვას** კვლევის ჩატარების საანგარიშო პერიოდში. ამას ემატება ის, რომ სამუშაო ძალის გამოკვლევა დასაქმებულად მონიშნავს ყველას, ვინც **1 საათით მაინც მუშაობდა** საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ხოლო საწარმოების და ორგანიზაციების გამოკვლევა **დაკავებული სამუშაო ადგილების და ნამუშევარი დროის** მიხედვით აღრიცხავს დაქირავებულთა რაოდენობას. მაგალითისთვის, თუ საწარმოებისა და ორგანიზაციების სტატისტიკა სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულად აღრიცხავს იმ პირებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საწარმოში (კომბინატებში, მებაღეობაში ან მეხილეობის საწარმოებში) საქმიანობდნენ სულ ცოტა ერთი კვარტალის ან ერთი წლის განმავლობაში მაინც, სამუშაო ძალის გამოკვლევის შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულად შეიძლება ჩაითვალოს ის პირიც კი, რომელმაც გასული ერთი კვირის განმავლობაში 1 საათით მაინც იმუშავა (მაგალითად, გაყიდა ერთი ბოთლი რძე) და სანაცვლოდ მიიღო შემოსავალი ფულის ან ნატურის სახით. შესაბამისად, დასაქმებული ადამიანების გამოკვლევის ამ ორი სხვადასხვა მიდგომის შედარება საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ის ძალიან ზოგადი სურათი, სადაც განსხვავება წარმოიშობა *175,5 ათას დაქირავებულში*, რომლებიც, ერთი მიდგომით საერთოდ არ აღირიცხებიან, ხოლო მეორე მიდგომით დასაქმებულის სტატუსის ქვეშ მყოფებად არიან მონიშნულები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანთა ეს ერთობა არც უმუშევართა რიგებში ირიცხება, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, ეს ადამიანები გარკვეული პერიოდით დასაქმების და შემოსავლის გარეშე რჩებოდნენ. ამას ადასტურებს ისიც, რომ უმუშევრობის დონე ფიქსირებული ერთეულია და მისი დაანგარიშება სამუშაო ძალის გამოკვლევის მეთოდოლოგიითვე ხდება. სწორედ ეს გარემოება მიანიშნებს იმაზე, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ეს ნაწილი, რაც დაქირავებულთა საერთო რაოდენობის 10,4%-ს შეადგენს, სინამდვილეში ატიპიურ, დროებით და არასტაბილურ შრომაში ჩართულ ადამიანთა ერთობაა, რომელთა უმრავლესობაც, სავარაუდოდ, არაფორმალურად დასაქმებულ მშრომელთა ძალას წარმოადგენს. თუმცა იმის გამო, რომ კვლევის ჩატარების ინტერვალში, არსებული მეთოდოლოგიით, ისინი დაქირავებული სტატუსის მქონე პირებად აღირიცხებოდნენ, ეს გარემოება ნიღბავდა იმას, რომ შრომის ბაზარზე მათთვის დაქირავებით დასაქმების სტაბილური და გრძელვადიანი შესაძლებლობები არ მოიძებნებოდა.

რაც შეეხება თვითდასაქმებულთა კატეგორიას, როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახური განმარტავს, „თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობაში“.[17] რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო სფეროს მიღმა თვითდასაქმებულთა ოდენობას, რომლებიც ქალაქად არიან დასაქმებული, სამუშაო ძალის გამოკვლევის თანახმად, ამ კატეგორიაში არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულების 33,8% ერთიანდება ხოლო არასასოფლო-სამეურნეო სფეროში არაფორმალურად დასაქმებულთა წილი მთელი არასასოფლო-სამეურნეო დასაქმების 34,7%-ს შეადგენს[18] - მათ შორის აგრარულ და გარე ვაჭრობაში თვითდასაქმებულები, მძღოლები, ძიძები, კერძო ტუტორები თუ ოჯახის დამხმარეები. საქსტატის მიერ მომზადებულ სამუშაო ძალის გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ თვითდასაქმებულთა დიდ ნაწილს მძიმე სოციალური რეალობა უდგას, მათი შემოსავლები მიზერულია და მათი დიდი ნაწილი დამატებითი სამსახურის ძიებით არის დაკავებული, თუმცა ამის მიუხედავად, ისინი თავს უმუშევრად და, შესაბამისად, შემოსავლების გარეშე დარჩენილ პირებად არ მოიაზრებენ.

საქართველოს შრომის ბაზრის სტრუქტურის ანალიზი და აქ წარმოდგენილი თვითდასაქმებულთა მასშტაბი, კორონავირუსის პანდემიისა და თანმდევი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, აქტუალურს ხდის მსჯელობას იმაზე, თუ რა დანიშნულება აქვს არაფორმალურ შრომას სოციალური კვლავწარმოების შენარჩუნებაში, როგორია მისი როლი მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის ნაწილში? რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ დღესაც კი, არაფორმალური დასაქმება, როგორც თვითგადარჩენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მომდევნო ნაწილი შეისწავლის არაფორმალური შრომის დინამიკას და თვითდასაქმებულების მდგომარეობის ცვლილებას ეკონომიკური კრიზისების პირობებში. ანალიტიკური ნაშრომის მომდევნო ნაწილში გავაანალიზებთ როგორც 2008-2009 წლების ეკონომიკურ კრიზისს და მის შედეგებს შრომის ბაზარზე, ასევე შევისწავლით კორონავირუსის პანდემიის პირობებში წარმოქმნილ ეკონომიკურ კრიზისს, რომლის შედეგების გასაანალიზებლად გამოყენებულია 2020 წლის ივნისი-ივლისის პერიოდში ჩატარებული პირისპირ ინტერვიუების შედეგები.

[17] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), სამუშაო ძალს გამოკვლევა, გვ. 2.

[18] **ავტ. შენიშვნა:** საქსტატს მოცემულ რაოდენობას დასათვლელად შემუშავებული აქვს შემდეგი მეთოდოლოგია: არასასოფლო–სამეურნეო სფეროში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც დასაქმების ადგილზე არ იცავდა ან ნაწილობრივ იცავდა ფორმალური შეთანხმება, შეფარდებულია არასასოფლო – სამეურნეო სფეროში დასაქმებულების მთლიან რაოდენობასთან და მისი პროცენტული მაჩვენებლი წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო სფეროში არაფორმალურად დასაქმებულთა წილი

ეკონომიკური კრიზისები და არაფორმალური შრომა

ეკონომიკური კრიზისები თანამედროვე ეკონომიკური სისტემის განუყოფელი მახასიათებელია და კონკრეტულ ამხსნელებამდე ვერ დაიყვანება, რადგან სხვადასხვა კომპლექსური ფაქტორის ერთობლიობაა. ასეთივე კომპლექსური და მრავალშრიანი განზომილებაა ის, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური კრიზისები და შოკები ქვეყნის სოციალურ სფეროზე, შრომის ბაზარსა თუ თავად დასაქმებულებზე. ანალიტიკური ნაშრომის მოცემულ ნაწილში განხილულია ეკონომიკური კრიზისის ორი შემთხვევა - 2008-2009 წლების ე.წ. ფინანსურ კრიზისად სახელდებული ეკონომიკური კრიზისი, და 2020 წლის პირველ კვარტალში კორონავირუსის პანდემიის შედეგად დამდგარი ეკონომიკური ვარდნა, რომლის საბოლოო შედეგები და გავლენა შრომის სფეროებზე ჯერ კიდევ დაუდგენელია. კრიზისებს განვიხილავთ ფორმალურ და არაფორმალურ დასაქმებაზე დაკვირვებით, და შევისწავლით მშრომელთა რეაგირებას ეკონომიკური კრიზისით გამოწვეულ შედეგებზე და ფორმალობა-არაფორმალობას შორის არსებული განსხვავებების სპეციფიკურობას.

- *<u>2008-2009 წლის ფინანსური კრიზისი</u>*

საქართველოში 2008-2009 წლის კრიზისს ორი მნიშვნელოვანი წინაპირობა ჰქონდა - ერთი მხრივ 2008 წელს რუსეთთან მომხდარი ომის მძიმე შედეგებით იყო გამოწვეული, ხოლო მეორე მხრივ, გლობალურ ფინანსურ ბაზარზე დაწყებული კრიზისით, რომელიც საქართველოს თვისებრივად ახალ გამოწვევებს უყენებდა.[19] კრიზისის შედეგად 2008 წლის III კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდა 5%-ით დაეცა, ხოლო 2009 წლის II კვარტალში ადგილი ჰქონდა მშპ-ს რეალური ზრდის რეკორდულ, 10%-იან შემცირებას, წლიური მაჩვენებლით -3,7%. ამან შეაფერხა ეკონომიკური ზრდა და ქვეყანა მწვავე ეკონომიკური კრიზისის წინაშე დააყენა (იხ. *ფიგურა 1*). თავდაპირველად 2008 წლის ომმა, ხოლო შემდგომ 2009 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის ტალღებმა, გაანახევრა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც მანამდე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ბიუჯეტის ზრდასა და ეკონომიკის სტიმულირებაში. ეკონომიკური კრიზისის თანმდევი პროცესი იყო წარმოების ვარდნა, ტურიზმის შემცირება და მსხვილი საწარმოების მიერ წარმოების მოცულობის შეკვეცა ან დახურვა.[20] გარდა მაკროეკონომიკური ეფექტებისა, ეკონომიკურმა კრიზისმა მძიმე სოციალური ფონიც წარმოქმნა. მაღალი ინფლაციისა და სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასების ზრდის პარალელურად, 2008 და 2009 წლებში ხელფასის და შემოსავლების ზრდის ძალიან დაბალი დინამიკა შეინიშნებოდა. კერძოდ, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2008 წელს 4,1%-ით, 2009 წელს კი, 7,3%-ით გაიზარდა. შედეგად,

[19] პაპავა ვლადიმერი, „თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის თავისებურებანი საქართველოში“, ეკონომისტი, 2009, №4.
[20] პაპავა, 6.

შინამეურნეობებს გაეზარდათ ხარჯები და შეუმცირდათ შემოსავლები. ეს კი იმ ფონზე, როცა შინამეურნეობების კომერციულმა საბანკო ვალდებულებები რეკორდურ ნიშნულზე იყო და 2008 წელისთვის მშპ-ს 12%-ი შეადგინა[21]. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ 2008 და 2009 წლების განმავლობაში საქართველომ რეკორდულად დიდი რაოდენობით ფინანსური დახმარება მიიღო საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან (IMF, World Bank, EU), ამან მხოლოდ დროებით გადაავადა ეროვნულ დონეზე დამდგარი კრიზისის მწვავე სოციალური შედეგები. მაგალითად, თუ 2008 და 2009 წლებში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი საქართველოს მასშტაბით 34,9%-იან ნიშნულზე ნარჩუნდებოდა, 2010 წელს ის 37,3%-ზე ავიდა, ხოლო სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში სიღარიბემ რეკორდულ მაჩვენებელს - 42,3%-ს მიაღწია.

ეკონომიკური შოკების ამ ფონზე საგულისხმოა ის, რომ შრომის ბაზარზე არსებული დინამიკა ერთი შეხედვით სრულ მედეგობას ავლენდა არსებული კრიზისის მიმართ. 2008-2009 წლის შრომის სტატისტიკის თანახმად, ადგილი არ ჰქონია მკვეთრად გამოხატულ სტრუქტურულ ცვლილებებს - უმუშევრობის დონე მხოლოდ 0,4%-ით გაიზარდა, დასაქმების დონეც, არათუ შემცირდა, გაიზარდა (რაც ეკონომიკური წარმოების ვარდნის ფონზე პარადოქსულია). თუმცა, თუკი დასაქმების სექტორულ განაწილებას დავაკვირდებით, დავინახავთ დინამიკას, სადაც ადგილი აქვს არაფორმალური დასაქმების მოცულობის ზრდას, მშრომელთა მიერ დასაქმების სტატუსის შენარჩუნების მიზნით ეკონომიკური აქტივობის ცვლილებას და სასოფლო-სამეურნეო დასაქმებაში უსტატუსოდ დარჩენილი მშრომელების

ფიგურა 1

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



[21] IMF, Financial Access Survey

გადასვლას, რაც ხელფასის, ანაზღაურების და შემოსავლების გათვალისწინებით, შეუძლებელია ნებაყოფლობით ადგილმონაცვლეობად მოვიაზროთ. გარდა ამისა, მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ შედარებით ნაკლები მობილობა შეინიშნებოდა ანალოგიურ პერიოდში ფორმალური დასაქმების სექტორებში, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს შრომის ბაზრის სეგმენტაციასა და კრიზისების პერიოდში ფორმალური დასაქმების ერთგვარ უპირატესობაზე არაფორმალურ დასაქმებასთან შედარებით, რაც გამომდინარეობს ფორმალურ დასაქმებაში მეტი სტაბილურობის, შემოსავლის გარანტირებულობის და მინიმალურ სოციალურ დაცულობაზე ხელმისაწვდომობის (მაგალითად, სწრაფ საბანკო სესხზე ხელმისაწვდომობა) შესაძლებლობებით.

რაც შეეხება დასაქმებასთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზს, თუკი 2016 წლამდე მოქმედი შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა 2008-2009 წლებში თვითდასაქმებულთა რაოდენობის ზრდას მხოლოდ 1%-ით ნიშნავს, შინამეურნეობის ინტეგრირებული გამოკვლევისა და ბიზნესის სექტორის გამოკვლევის მონაცემთა შედარება რადიკალურად განსხვავებულ სურათს იძლევა (იხ. **Error! Reference source not found.**). როგორც ზევით უკვე აღინიშნა, ამ ორი კვლევის მონაცემებს შორის განსხვავება დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ, საქსტატს დაკვირვების პერიოდით და მეთოდოლოგიური სხვაობით აქვს განმარტებული. კერძოდ, თუ ბიზნესის სექტორი მონაცემებს თითოეული დაკვირვების ერთეულის შესწავლით და სამუშაო ადგილების რაოდენობის აღრიცხვით ადგენს, შინამეურნეობათა ინტეგრირებულ კვლევაში, დაქირავებით დასაქმებულები ILO-ს შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით აღირიცხებიან. მონაცემთა ეს სხვაობა ლეგიტიმურს ხდის მსჯელობას იმაზე, რომ ბიზნეს სექტორის გამოკვლევასა და შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას შორის არსებული პროცენტული განსხვავება, რეალურად ადამიანთა ის სეგმენტია, რომელიც შრომის ბაზარზე ვერ ახერხებდა ეპოვა სტაბილური, გრძელვადიანი დასაქმების ადგილები და, შესაბამისად, ჩართული იყო სხვადასხვა სახის ეპიზოდურ, პრეკარიალურ თუ არაფორმალურ შრომაში. თუკი ამ პროცენტულ სხვაობას წლების მიხედვით დავაკვირდებით, ვნახავთ, თუ რამდენად დაბალი იყო 2008 და 2009 წლებში მშრომელთა ჩართულობა ფორმალურ სექტორში დაქირავებით დასაქმებულის სტატუსის ქვეშ და რამდენად დიდი იყო მათი დასაქმება არაფორმალური, დროებითი და ეპიზოდური ტიპის დასაქმების ადგილებზე. უფრო მეტიც, **ორი წყაროს მონაცემების სხვაობის შეფარდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობასთან**, ავლენს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი წილი მოდიოდა 2008-2009 წლებში შრომის ბაზარზე ე.წ. შეფარულ არაფორმალურ დასაქმებაზე. კერძოდ, თუკი 15 წლის და უფროსი მოსახლეობის განაწილების დათვლით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 50%-მდე თვითდასაქმებული იყო (იხ.

ცხრილი 2), ზემოხსენებული დაანგარიშების თანახმად, თავად დასაქმებულთა შორის, 2008 წლის მონაცემებით 14,8%-ი, ხოლო 2009 წელის მონაცემებით კი დასაქმებულთა 13,4%-ი მაინც დაუცველ, არაფორმალურ და ატიპიურ შრომაში იყო ჩართული.

არაფორმალურ დასაქმებაში მშრომელთა ფართომასშტაბიან მობილობასა და ფორმალურ სექტორში შედარებით დაბალ გადანაცვლებებზე მიუთითებს სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობაში (NACE 2-ის სახეები) მიმდინარე მშრომელთა მობილობაზე დაკვირვებაც. კერძოდ, 2008 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში ადგილი ჰქონდა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში დასაქმებულთა 61%-იან ზრდას; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობებში, რომელიც ძირითადად ვაჭრობისა და სასტუმრო-რესტორნების საქმიანობებს მოიცავს, დასაქმებულთა 44%-იან ზრდას, ხოლო ხელოვნების, გართობის და დასვენების სფეროში 38%-იან ზრდას[22]. ეს სფეროები არაფორმალობის მაღალი წილით ხასიათდებიან, რაც ასევე გამომდინარეობს დასაქმების ტიპიდან, დასაქმების ხასიათის ეპიზოდურობიდან, არსებულ სფეროში მშრომელთა მაღალი მონაცვლეობისა და სხვა გარემოებებიდან. ამის საპირისპიროდ, ისეთ სფეროებში, რომლებიც ძირითადად ფორმალურ დასაქმებას მოიაზრებს - მრეწველობა, ტრანსპორტირება და დასაწყობება, ინფორმაცია და კომუნიკაცია, განათლება - დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა მინიმალური იყო. ეს, როგორც არაფორმალურის შემთხვევაში, შესაძლოა, თავად ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკით აიხსნას (მაგალითად, გრძელვადიანი კონტრაქტების სიხშირე, მშრომელთა მობილობის ნაკლები მახასიათებელი), თუმცა სოფლის მეურნეობაში არსებული დასაქმების ზრდის მსგავსი რადიკალური მაჩვენებელი (იხ. ცხრილი 3) ადასტურებს დასაქმებულთა მობილობის იმ დინამიკას, რომელიც პირველ რიგში არაფორმალურ დასაქმებას, და ამის შემდეგ სოფლის მეურნეობის საქმიანობას აქცევს კრიზისების პერიოდის იმ დამცავ ბუფერულ ზონად, რომელიც უალტერნატივობის პირობებში, სოციალური დაცვის ფუნქციას ითვისებს.

2008 და 2009 წლებში მშრომელთა ამ მობილობაზე და დასაქმების სტატუსის ადგილმონაცვლეობაზე დაკვირვებით, რთულია ვიმსჯელოთ იმაზე, არაფორმალურობის ეს დინამიკა ნებაყოფლობითი პროცესი იყო თუ იძულებითი. თუმცა, იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის მასშტაბით ადგილი ჰქონდა ეკონომიკური წარმოების ზრდის ვარდნას, მსხვილი საწარმოების ბრუნვის შემცირებას და, ზოგ შემთხვევაში, წარმოების გაჩერებასაც კი, რამაც საბოლოო ჯამში შეკვეცა ფორმალურ სექტორში დასაქმება, ხოლო არაფორმალურიდან ფორმალურ სექტორში მობილობის შესაძლებლობა მინიმუმამდე დაიყვანა, ეს მოცემულობა ლეგიტიმურს ხდის დასკვნების გამოტანას იმასთან დაკავშირებით, რომ როგორც 1998-1999

[22] **ავტ. შენიშვნა:** გასათვალისწინებელია, რომ დასაქმებაში ამ ცვლილებას ბიზნეს სექტორის გამოკვლევის მონაცემები აჩვენებენ მაშინ, როდესაც შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის თანახმად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 2007 წლიდან 2008 წლის პერიოდში 2,5%-ით გაიზარდა, ხოლო 2008 წლიდან 2010-ის ჩათვლის 3%-ით შემცირდა.

წლების კრიზისის პირობებში[23], 2008-2009 წლის კრიზისის დროსაც, არაფორმალური შრომა თვითგადარჩენის მნიშვნელოვან სტრატეგიად იქცა, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებამ კი, სოციალური დაცულობის ფუნქცია შეითავსა მაშინ, როდესაც უმუშევრად დარჩენა ალტერნატივა არ ყოფილა.

- *2020 წლის პანდემიური კრიზისი*

თუ როგორ გავლენას იქონიებს მიმდინარე პანდემიური კრიზისი ქვეყნის მასშტაბით, და რა მოჰყვება მას შედეგად, ჯერჯერობით უცნობია. თუმცა ყველა არსებული პროგნოზის გათვალისწინებით, ნავარაუდებია ეკონომიკური ზრდის რადიკალური ვარდნა, წარმოების და მომსახურების მასშტაბური შეკვეცა და მწვავე სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. საერთაშორისო დონის ექსპერტები შრომის ბაზართან დაკავშირებულ რადიკალურ ცვლილებებზე მიუთითებენ, სადაც 2020 წლის მეორე კვარტალში მსოფლიოს მასშტაბით შერბილებული სცენარით 34 მილიონი დასაქმებული დარჩება უსამსახუროდ, ხოლო მკაცრი გაანგარიშებით ეს რიცხვი 340 მილიონს მიუახლოვდება.[24] საერთაშორისო დონეზე გატარებული საზღვრების ჩაკეტვის პოლიტიკა, კაპიტალის და საქონლის მიმოცვლის შეზღუდვა, საერთაშორისო ფრენების და გადაადგილების გაუქმება ყველაზე მეტად განვითარებად ქვეყნებზე იმოქმედებს, რამდენადაც ასეთი ქვეყნების ეკონომიკა, როგორც წესი, უფრო მეტად არის დამოკიდებული უცხოურ ფინანსებსა და ეკონომიკის გარედან სტიმულირებაზე. საქართველოს შემთხვევაში, ამას ადასტურებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-სთან მიმართებით, ისევე როგორც ფულადი გზავნილების მოცულობა ქვეყნის ბიუჯეტთან შეფარდებით. გარდა საერთაშორისო გავლენებისა, პანდემიის გავლენის მასშტაბი ასევე უკავშირდება შიდაეკონომიკურ დონეზე არსებულ მახასიათებლებსაც, რაც, მაგალითად, ქვეყნის შრომის ბაზარზე ტურისტული სექტორის მაღალი წილით და მასთან დაკავშირებული მცირე თუ საშუალო ბიზნესების სიმრავლით გამოიხატება.

ISET-ის მიერ მომზადებული ანგარიშში, სადაც გაანალიზებულია პანდემიის გავლენა შრომის ბაზართან მიმართებით, საუბარია, რომ დაქირავებით დასაქმებულების 30% სამსახურის დაკარგვის მაღალი რისკის წინაშე დგას, ხოლო ყველაზე ნაკლებად ეს რისკი განათლების, სახელმწიფო მმართველობის და ჯანდაცვის სფეროში ჩართულ ადამიანებს ეხებათ. მაღალრისკიან სფეროებს შორისაა გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის, ტრანსპორტირება-დასაწყობების, განთავსების და საკვების მიწოდების (იგივეა, რაც სასტუმროების და რესტორნების მომსახურება) საქმიანობები, სადაც,

[23] Bernabè and Stampini, Labour Mobility during Transition Evidence from Georgia.
[24] ILO Monitor: COVID-19 and the world of work. Fifth edition Updated estimates and analysis, 30 June 2020

თუკი სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულთა გამოკლებით ვიანგარიშებთ, ეკონომიკურად აქტიური მუშახელის 52%-ია დასაქმებული.[25]

ამასთან, განსაკუთრებით მწვავე შედეგების მომტანი იქნება პანდემიური კრიზისი როგორც გენდერულ, ისე რეგიონალურ ჭრილში. თუკი 2008-2009 წლების კრიზისის დროს მოსახლეობის სიღარიბის მხრივ სხვაობა სოფელსა და ქალაქის ტიპის დასახლებებს შორის 5% იყო, მიმდინარე კრიზისი უფრო მძიმე შედეგებს მოუტანს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას, რადგან ანტიკრიზისული ზომებით შექმნილი ფისკალური რესურსები ნაკლებად ან დაგვიანებით მიაღწევს სოფლის მოსახლეობამდე, სადაც არაფორმალური შრომისა და დასაქმების წილი უფრო დიდია.[26] ამასთან, განსაკუთრებით დამძიმდება ვითარება იმ რეგიონებში, რომლებსაც ყველაზე მეტად შეეხოთ კორონავირუსის პანდემია და მის შესაჩერებლად მიღებული სახელმწიფო ზომები. ამას ადასტურებს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ აღრიცხული საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობაც, სადაც, 2020 წლის ივლისისთვის, ქვეყნის მასშტაბით, საგრძნობლად არის გაზრდილი საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა. მონაცემებიდან ირკვევა (იხ. ცხრილი 4), რომ შემწეობის მიმღებთა რაოდენობა, 1-წლიან საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებით გაზრდილია - ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში - იმ რეგიონებში, სადაც მაღალი იყო კორონავირუსით ინფიცირებულთა რიცხვი, და სადაც აუცილებელი გახდა უფრო ხანგრძლივი და მკაცრი საკარანტინე ზომების გატარება. გარდა აღნიშნული რეგიონებისა, ასევე 2020 წლის ივლისის მონაცემებით, საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის მაღალი რიცხვი გამოიკვეთა აჭარის რეგიონსა და ბათუმში, რაც აღნიშნული რეგიონის ტურიზმის სექტორზე მაღალი დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას.

რაც შეეხება პანდემიური კრიზისის გენდერულ ასპექტს, აღსანიშნავია, რომ ქალი მშრომელების და, განსაკუთრებით კი, სოფლად მცხოვრები ქალების შემთხვევაში დამდგარი შედეგები, ბევრად მწვავე იქნება. ეს ერთი მხრივ იმით აიხსნება, რომ პანდემიის მიერ ყველაზე დაზარალებულ სფეროებში, როგორიც არის - საბითუმო და საცალო ვაჭრობა, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები - ქალი მუშახელის დასაქმების წილი განსაკუთრებით მაღალია;[27] ხოლო მეორე მხრივ იმით, რომ კარანტინის პირობებში შინამეურნეობებში საშინაო შრომაზე გაზრდილი მოთხოვნილება, რაც ოჯახის წევრების შინ ყოფნის ინტენსივობით და სასკოლო თუ საბავშვო ბაღების დაწესებულებების დახურვის შედეგია, ყველაზე მეტად ქალებს დააწვებათ. უფრო მეტიც, საოჯახო მეურნეობებსა

[25] ფავლენიშვილი ლევან et al., „COVID-19-ის სოციალური ეფექტი – უნივერსალური დახმარების შემოღების საფუძველი?“ (Tbilisi: International School of Economics (ISET), April 2020).

[26] ბაბიჩი იაროსლავა, კეშელავა დავით, და მუავანაძე გიორგი, „ეკონომიკური რეაგირება COVID-19-ზე: როგორ უმკლავდება გამოწვევას საქართველო?“ (თბილისი: International School of Economics (ISET), March 2020).

[27] დაიმონდი ალექსის და ჯენკინსი მარგარეტი, „ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში: მიზეზები და შედეგები“, „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში“ (გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), 2018).

და საშინაო შრომაში ქალთა ჩართულობის გაზრდის ფონზე, პოსტპანდემიურ პირობებში კიდევ უფრო გართულდება ქალთა, და განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრებ ქალთა დასაქმების შესაძლებლობები და ასევე შემცირდება მათი კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე წარმოდგენილ მამაკაც მუშახელთან შედარებით.[28]

ყველა ეს გარემოება იმოქმედებს დასაქმების წილზეც ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებში. უფრო მეტიც, შეუძლებელი იქნება უმუშევრობის არსებული ნიშნულის შენარჩუნება, თუნდაც არაფორმალური დასაქმების ზრდის ხარჯზე, რადგან ქვეყნის მასშტაბით აგრარული ბაზრების დახურვა, ტრანსპორტირების შეზღუდვები და შიდა მოხმარების შემცირება ზეგავლენას მოახდენს არაფორმალურ საბაზრო ურთიერთობებსა და დასაქმებაზეც. ამასთან, ერთი მხრივ, ფორმალურ სექტორში დასაქმების შეკვეცა, ხოლო, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ანტიკრიზისული და ფისკალური ღონისძიებები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ფორმალურ სექტორში არსებული სფეროების მხარდაჭერისკენ იქნება მიმართული, კიდევ უფრო გააღრმავებს შრომის ბაზრის სეგმენტაციას და დასაქმების პრეფერენციების განსხვავებას ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებს შორის, სადაც ფორმალურად დასაქმებული ადამიანები უფრო მეტად აღმოჩნდებიან უპირატეს მდგომარეობაში, ხოლო არაფორმალურად დასაქმებულები კი უფრო მეტად მოწყვლადები და დაუცველები.

პოსტკოვიდ მოცემულობაში ფორმალურ და არაფორმალურ დასაქმებას შორის გაჩენილ ამ თვისობრივად ახალ პოლარიზაციაზე მიუთითებს თვითდასაქმებულ პირებთან ჩატარებული პირისპირ ინტერვიუებიც, სადაც ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის დახმარებით გამოიკითხა 15 რესპონდენტი, რომელთაგან 11-ს დასაქმების ადგილზე სამუშაო კონტრაქტი გაფორმებული არ ჰქონია. კითხვაზე, თუ რა დაანახა მათ პანდემიამ და შექმნილმა კრიზისმა შრომითი დაცულობის და მათი სამუშაო გარემოს ნაწილში, მათი უმრავლესობა არაფორმალური დასაქმების იმ ნეგატიურ ასპექტებზე მიუთითებდა, რაც დაკავშირებული იყო პანდემიური მდგომარეობის გამოცხადებასთან ერთად შემოსავლების მყისიერ შეწყვეტასთან, შემოსავლების პირვანდელ ნიშნულზე დაბრუნების სირთულეებთან, ანტიკრიზისული დახმარებით სარგებლობის გართულებულ შესაძლებლობასთან და ისეთი მინიმალური უსაფრთხოების გარანტიების არარსებობასთან, როგორიცაა სამომხმარებლო სესხზე წვდომა, მინიმალური დანაზოგის ქონა და ალტერნატიული დასაქმების მოძიების შესაძლებლობა. ასეთ სიტუაციაში, კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა უმრავლესობა დახმარების მისაღებად ნაკლებ ნდობას უცხადებდა სახელმწიფო ინსტიტუციებს და ისეთი არაფორმალური სოციალური ურთიერთობებიდან წამოსული მხარდაჭერის უფრო ეიმედებოდათ, როგორიცაა ოჯახის, მეგობრების და ნათესავების მხარდაჭერა. რაც შეეხება გამოკითხულთა მოლოდინს სამომავლოდ შემოსავლებისა და დასაქმების მეტი დაცულობის კუთხით, გამოკითხულ

[28] Hitomi Ho and Ileana Grandelis, Impact of COVID-19 on Informal Workers (Food and Agriculture Organization of the United Nations, 7 April 2020).

რესპონდენტთა მოლოდინი დაბალია სამუშაო პირობების გაუმჯობესების და ინსტიტუციურ დონეზე პრობლემის მოგვარების მიმართულებით. შესაბამისად, პასუხებში უფრო ხშირი იყო ისეთი ინდივიდუალისტური ინიციატივების გაჟღერება, როგორიცაა პირადი დანაზოგების დაგროვება, საბანკო ვალდებულებების დაფარვა და ანაბრის გახსნა და ა.შ. რაც შეეხება გამოწვევების ინსტიტუციურ გადაწყვეტას, მაგალითად, როგორიცაა შრომის ფორმალიზება, დასაქმების მეტად სტაბილურ სფეროებში მობილობა თუ მეტი დაცულობისთვის შრომითი კონტრაქტის მოთხოვნა (მაგალითად, ფიტნეს ცენტრის, ან კაფე-ბარის მესაკუთრეებისგან), ამ მიმართულებით რესპონდენტთა მოლოდინი უკიდურესად პესიმისტური იყო და არსებული კრიზისის ფონზე არც კი განიხილებოდა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ყველა ამ ზემოხსენებული გარემოების გათვალისწინებით, მეტად სავარაუდოა, რომ პანდემიური კრიზისი მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს შრომის ბაზარზე - ის გაზრდის როგორც უმუშევრობის დონეს, ისე არაფორმალურ და ფორმალურ დასაქმებებს შორის არსებულ სეგმენტაციას. კრიზისის გამო შეიკვეცება ფორმალური დასაქმების შესაძლებლობები და გაიზრდება უთანასწორობის მასშტაბი. კერძოდ, ის, ვინც ფორმალურ დასაქმებაში დარჩება, მეტ სარგებელს მიიღებს სახელმწიფოს მიერ გატარებული ანტიკრიზისული გეგმის შედეგად, მაშინ როდესაც არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის მიუხედავად, მათი (არაფორმალურად დასაქმებულების) წვდომა სახელმწიფოს ანტიკრიზისულ თუ სოციალური დაცულობის სერვისებზე, გაცილებით შეიზღუდება.

ბოლოს კი, სოფლის მეურნეობის სექტორთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსალოდნელია დასაქმების ფორმალური ბაზრებიდან გამორიყული, ან არასასოფლო-სამეურნეო სფეროში არაფორმალურად მოღვაწე მშრომელების წილის ზრდა სასოფლო-სამეურნეო სექტორში. ამის ვარაუდის საფუძველს, ერთი მხრივ, ისტორიულად ჩამოყალიბებული პრაქტიკა იძლევა, როდესაც ეკონომიკური კრიზისების დროს, სასოფლო-სამეურნეო სფეროში უშემოსავლოდ დარჩენილი ადამიანები მასობრივად გადაინაცვლებდნენ; მეორე მხრივ კი, ამაზე მიუთითებს ბოლო პერიოდის დინამიკაზე დაკვირვებაც - როდესაც კარანტინისა და ეკონომიკური წარმოების შეჩერების პირობებში განსაკუთრებით გაიზარდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც ურბანული სივრცეებიდან რურალურ და სოფლის ტიპის დასახლებებში გადაინაცვლეს. ჯერჯერობით ასეთი ადამიანების ზუსტი რაოდენობა უცნობია, თუმცა მეინსტრიმ მედიასა და საჯარო დინამიკაზე დაკვირვება თვალში საცემს ხდის იმ ადამიანთა გაზრდილ რაოდენობას, რომლებმაც ურბანული სივრცეებიდან სასოფლო დასახლებებში გადაინაცვლეს და „მიწას მიაშურეს“. მაშინ, როდესაც საჯარო სივრცეში ადგილი ჰქონდა ამ დინამიკის ერთგვარ რომანტიზებას და მის სენტიმენტალურ ჭრილში წარმოჩენას, მის მიღმა რეალურად ადამიანთა თვითგადარჩენის ის ფართოდ გავრცელებული სტრატეგია იმალება, რომელსაც ეკონომიკური რაციონალობა და ისტორიული საფუძველი უმაგრებს

ზურგს. კერძოდ, როგორც ანალიტიკური ნაშრომის დასაწყისში იყო ნახსენები, საქართველოს კრიზისების ისტორიაზე დაკვირვება ააშკარავებს გარემოებას, რომლის მიხედვითაც არაფორმალური დასაქმება, განსაკუთრებით კი, სოფლის მეურნეობის სექტორი, მუდმივად იქცეოდა ერთგვარ დამცავ და ბუფერულ ზონად ეკონომიკური კრიზისებისა და არასათანადო სოციალური უსაფრთხოების პირობებში.

ბიბლიოგრაფია

Bernabè, Sabine. A Profile of Informal Employment: The Case of Georgia. Geneva: International Labour Office (ILO), 2002.

Bernabè, Sabine, and Marco Stampini. Labour Mobility during Transition Evidence from Georgia1. *Economics of Transition and Institutional Change* 17, no. 2 (2009): 377–409.

Dudwick, Nora. Georgia: A Qualitative Study of Impoverishment and Coping Strategies. In *Georgia Poverty and Income Distribution*, Vol. 2. 19348-GE. Washington,: World Bank, 1999.

Günther, Isabel, and Andrey Launov. Competitive and Segmented Informal Labor Markets. Bonn: The Institute for the Study of Labor (IZA), 2006.

Ho, Hitomi, and Ileana Grandelis. Impact of COVID-19 on Informal Workers. Food and Agriculture Organization of the United Nations, 7 April 2020.

'ILO Monitor: COVID-19 and the world of work. Fifth edition Updated estimates and analysis, 30 June 2020, https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@dgreports/@dcomm/documents/briefingnote/wcms_749399.pdf?fbclid=IwAR0Vi0IWdS5HKhgiNB-zKV7j7F4_Hwp04NqN8rpZLuzVHPVTSv7TCh2lHhM

Lehmann, Hartmut, and Norberto Pignatti. Informal Employment Relationships and the Labor Market: Is There Segmentation in Ukraine? SSRN Scholarly Paper. Rochester, NY: Social Science Research Network, 16 January 2018.

Leontaridi, Marianthi Rannia. Segmented Labour Markets: Theory and Evidence. *Journal of Economic Surveys* 12, no. 1 (1998): 63–101.

Maloney, William F. Informality Revisited. *World Development* 32, no. 7 (1 July 2004): 1159–78.

Medina, Leandro. Shadow Economies Around the World: What Did We Learn Over the Last 20 Years? Working Paper No. 18/17. IMF, 2018.

ბაბიჩი იაროსლავა, კეშელავა დავით, და მჟავანაძე გიორგი. „ეკონომიკური რეაგირება COVID-19-ზე: როგორ უმკლავდება გამოწვევას საქართველო?". თბილისი: International School of Economics (ISET), March 2020.

დაიმონდი ალექსის, და ჯენკინსი მარგარეტ. „ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში: მიზეზები და შედეგები". „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში". გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women), 2018.

პაპავა ვლადიმერი. „თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის თავისებურებანი საქართველოში". ეკონომისტი. 2009, №4 edition.

ფავლენიშვილი ლევან, ბურდული ანა, კაცაძე მარიამ, და პაპავა გიორგი. „COVID-19-ის სოციალური ეფექტი – უნივერსალური დახმარების შემოღების საფუძველი?" Tbilisi: International School of Economics (ISET), April 2020.

ცხრილი 1
წყარო: საქსტატი

	შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა	ბიზნეს სექტორის გამოკვლევა	პროცენტული განსხვავება
წლები	დაქირავებით დასაქმებული	დაქირავებით დასაქმებული	%
2008	621.811	334.286	86,0
2009	634.504	369.396	71,8
2010	668.767	380.709	75,7
2011	684.004	482.254	41,8
2012	716.161	514.387	39,2

ცხრილი 2
წყარო: საქსტატი

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით

წელი	სამუშაო ძალა	თვითდასაქმებულთა წილი
2008	1944684,7	50,10%
2009	1971751,5	49,46%
2010	1970901,4	48,54%
2011	1988240,1	47,91%

ცხრილი 3

წყარო: საქსტატი

დასაქმებულები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

	სოფლის მეურნეობა	მრეწველ.	მშენებლ.	საბით-საცალ. ვაჭრობა	ტრანსპორტირება და დასაწყობება	განთავსების საშუალებები	ინფორმაცია კომუნიკაცია	უძრავი ქონების საქმიანობები	პროფეს., სამეცნ. და ტექნიკ. საქმიანობები	ადმინისტ. და დამხმარე მომსახ. საქმიანობები	განათლ	ჯანდაცვ. და სოც-მომსახურების საქმიანობები	ხელოვნება, გართობა, დასვენება	სხვა სახის მომსახურ.
2008	4.051	90.487	38.117	54.696	39.324	11.184	15.762	9.244	8.142	8.252	13.563	51.078	3.231	2.119
2009	6.252	97.463	43.549	66.609	40.884	13.540	16.305	9.622	10.344	9.109	13.265	53.548	4.393	2.581
2010	6.509	100.266	40.516	67.672	40.224	16.106	16.659	10.058	10.103	11.350	14.692	56.530	4.448	2.672
%	**61**	**11**	**6**	**24**	**2**	**44**	**6**	**9**	**24**	**38**	**8**	**11**	**38**	**26**

ცხრილი 4

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

	საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა			**პროცენტული ცვლილება**	
ქალაქი და რეგიონები	2019 წლის ივლისი	2020 წლის იანვარი	2020 წლის ივლისი	მოსახლეობის რაოდენობის სხვაობა 6 თვეში (%)	მოსახლეობის რაოდენობის სხვაობა 1 წელში (%)
თბილისი	97460	84895	102960	21,3	5,6
ბათუმი	10943	10212	12333	20,8	12,7
ქუთაისი	7158	5667	7139	26,0	-0,3
გურია	18434	18898	20604	9,0	11,8
კახეთი	46967	45237	50419	11,5	7,3
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	12558	12405	13365	7,7	6,4
იმერეთი	60181	56736	63722	12,3	5,9
მცხეთა-მთიანეთი	13777	13419	15129	12,7	9,8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	55537	57062	62019	8,7	11,7
სამცხე-ჯავახეთი	10891	11352	12539	10,5	15,1
ქვემო ქართლი	45009	47429	53303	12,4	18,4
შიდა ქართლი	43830	41957	42293	0,8	-3,5
აჭარა	40947	42828	47437	10,8	15,8
სულ	**445591**	**432218**	**487790**	**12,9**	**9,5**